აიღეთ თაყვანისცემა იმდენი, რამდენსაც შეძლებთ, რადგან, ვფიცავ ალლაჰს, ალლაჰი არ იღლება, სანამ თქვენ არ დაიღლებით

მორწმუნეთა დედა და შუამავლის მეუღლე აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: «ჰაულა ბინთ თუვაით იბნ ჰაბიბ იბნ ასად იბნ აბდულ-'უზზამ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიახლოვეს გაიარა. მაშინ მე ვუთხარი: "ეს არის ჰაულა ბინთ თუვაითი, და ამბობენ, რომ ის ღამით არ იძინებს", შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ღამით არ იძინებს?! აიღეთ თაყვანისცემა იმდენი, რამდენსაც შეძლებთ, რადგან, ვფიცავ ალლაჰს, ალლაჰი არ იღლება, სანამ თქვენ არ დაიღლებით».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეების დედა აიშასთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) იმყოფებოდა ჰაულა ბინთ თუვაითი (ალლაჰი იყოს მისით კამყოფილი). შემდეგ, ის გავიდა, როცა ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შევიდა აიშასთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი). აიშამ უთხრა მას: ეს ქალი ღამით არ იძინებს, და მთელ ღამეს ლოცვაში ატარებს. მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისთვის, ზედმეტი სიმკაცრით თქვა: ღამით არ იძინებს?! აკეთეთ იმ კარგი საქმეებიდან იმდენი, რამდენსაც შეძლებთ რეგულარულად შესრულებას, რადგან, ვფიცავ ალლაჰს, ალლაჰი არ იღლება თავისი მორჩილი და კეთილი მონების დაჯილდოებით, სანამ ისინი თავად არ დაიღლებიან და არ შეწყვეტენ კეთილ საქმეებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/10411

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee